...რევოლიუციო
22762
მუზეუმი
F157/14409
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 66 დამატების № 11

კვირა, 26 აპრილი 1915 წ.

სამშობლო — დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.



ესკიზი აკაკის ძეგლისა.

ახალგაზრდა მხატვრის გ. მესხისა



კონსტანტინე ბეკოს ძე ადანაია.

(შტაბს-კაპიტანი)

დაჭრილი და ტყვეთ წაყვანილია გერმანიის საზღვარზე, სეკტემბერში.



ბათლომე ივანეს ძე მოსეშვილი.

(უნტერაფიცერი)

მოკლულია ს-თან ბრძოლის დროს.



გრიგოლ ბეკოს ძე ადანაია.

(უფროსი უნტერ-აფიცერი)

უგზო-უკვლოთ დაკარგული გერმანიის საზღვარზე, ნოემბერში.

# მეგობარს.

მეგობარო! ნუ ხარ თომა „ქრისტე აღსდგა“ დაკრძალული,
მისმა მცნებამ განამტკიცა ერთობა და სიყვარული.

—:—

როს სამყარო ბოროტს ეპყრა ღვარძლს სთესავდა ხორბლის ნაცვლად,
როს წყვდიადი სულს ეფარა ეშმაკისგან დასამარცხად,
როს ადამის ტომისაგან ცოდვის ცრემლი იფრქვევოდა,
როს მფარველი, არცა მხსნელი ქვეყნად მათთვის არ ჩნდებოდა,
ამ დროს ჩაგრულთ მოევლინა დიდი ძალა განგებისა,
მით აღსრულდა მოლოდინი სიტყვა ბრძენთა თქმულებისა,
მაგრამ იგი ბილწმა ხელმა ულმობელად ჯვარზე აცვა,
მისი სიტყვა მარგალიტი არ იწამა, არ დაიცვა.
მხოლოდ ცრემლი... წმინდა ცრემლი, ღვთის მშობლისა დანაღვარი,
ისევ ზეცამ შეიბრალა, შვილი ნახა კვლავ აღმდგარი.

—:—

მეგობარო, შენც იწამე, კიდევ მოვა ჩვენი მხსნელი...
კეთილისა დამთესველი, ბოროტების დამთრგუნველი!

პასიკო.

# სალდათის დედა.

(ამბავი.)

(გაგრძელება) *)

ახალ ნაზამთრზე, გაჩნდებოდა თუ არა რიდო-ჭრილი წაბლარებში, ქმარსა და შვილს ნეშოს სახჩრეკ კაკუჭებს მიაჩეჩებდა ხელში და სოკოშავას საძებრათ გაისტუმრებდა, თვითონ რთხმელნარის დობილის აყვებ-დაყვებოდა ახალი მოპირული ჩინდარით შეიარაღებული, სასადილო კალათს გასტენიდა ჩიტი-თავა და კუდინალიათი და ყოველ ხუთშაბათსა და შაბათ საღამოს ორივე მამაშვილისათვის სოკოშავასა და ახალი მხალის კალათები საქუთაისოთ გამომზადებული დერეფანში იდგა.

პარასკევსა და კვირას მარკოზა და დათაია წირვის დროზე ქუთაისის ბაზარ-მოედანზე იდგენ და სავსე კალათებს თავს ადგენ, ხან აქეთ-იქით თვისს ტვირთს ატარებდენ, რომ სა სალდათოს თავის სახსარი ხაზინა მოეგროვებია.

გაზაფხულის ბოლოს მარინეს ბოსტნის ნახვას არაფერი სჯობდა: რა ბოსტნეული გინდა, რომ შიგ არ იყო!

მოსთხრიდა ქორფა ოხრახუშს, წითელ ბოლოკს, ნიახურს ქინძს, ცერეცოს, ტარხუნას, პიტნას და სხვ., ახლა ეზოს სხვა და სხვა მხალეულობას მოსდგებოდა: აჭრიდა მოლოქას, ჭინჭარს, თიკნის ყურას, ქალმავას, ჯიჯილაყას, ნაცარ-ქათამას და კალთა გატენილი წინკარში საძირკველზე ჩამოჯდებოდა. დედა-შვილი ერთად დაარჩევდენ დაფერთხავდენ და ვახშმობისას ორ ორი მოზდილი კალათი ერთი მეორეზე ხამის ძველი სარტყელით გადაბმული, საქუთაისოთ გამომზადებული იდგა ალიონის აწევამდი.

ალიონის ამოსვლაც მარინეს უნდა მოეწამებია.

— ადე, შვილო, დათაია, ადე კაცო!

ქმარსა და შვილს რომ მიაძახებდა, ორივე მამაშვილი ფეხზე იდგენ და პირჯვარს იწერდენ, ორიოდეჯერ პირზე წყალს შეისხამდენ და კალათებს გადიკიდებდენ.

მარინე თითო ლობიან მჭადს კალთაში გაუხვევდა, გზას დაულოცავდა და ასე დატვირთულ მექუთაისე ქმარ-შვილს თვალს არ მოაცილებდა, სანამ თვალი მიუწვდებოდა.

მობრუნდებოდა თუ არა მარინე სახლისაკენ, გაბრიელ ეპისკოპოსის მადლითა და კურთხევით აშენებულ საყდრისკენ პირს იზამდა, წამოიჩოქებდა და ღვთის ვედრებას ასე მოჰყვებოდა:

— დაუსაბამო ღმერთო, ყ-დ წმინდაო სამებაო, იესო მაცხოვარო, ყ-დ წმინდაო ღვთის მშობელო, სამას სამოცდა ხუთო წმინდა გიორგი, ილია დრუბელთა წინამძღვარო, წმინდანო დავით და კონსტანტინე, გელათისა-ხახულისა ღვთის მშობელო, შეისმინეთ ჩემი ხვეწნა და ვედრება, ნუ დამიკარგავთ ჩემს დათაიას, მომასწარით მისს ცოლ-შვილს, მისს ოჯახის პატრონობას, ნუ დამიღუპავთ სალდათობაში, დამირჩინეთ სოფელ-ქვეყანაში და მტერ-მოყვარეში.

მარინეს დარიყვებამდი ქუთაისისკენ ეჭირა თვალი და აყურებდა: მექუთაისეების ლაპარაკში დათაიას ხმა ხომ არ მოისმისო.

გაიგონებდა თუ არა ნაცნობს, საყვარელ ხმას, დამშვიდებით ვახშმის მჭადების კეცებზე აყენებას შეუდგებოდა.

აი, დათაიაც მოვიდა, გახსნა ცხვირსახოცის ყური და მწვანილისა და მხალეულში აღებული ფული მარინეს თავ-მომწონეთ ხელში ჩაუთვალა. მარინემაც სვეტზე ჩამოკიდებული ხოკერა, რომელშიაც სასალდათო ფულს აგროვებდა, ჩამოიღო და დათაიას სახსარი შიგ სიხარულით ჩააჩხრიალა.

გავიდა ათი წელიწადი და ხოკერა პირამდი აივსო თეთრი და შავი ფულით.

*) **შეცდომის გასწორება:** წარსულ დამატებაში შეცდომით **დაბეჭდილია:** „მარინეს მარჯვენა ხელი, მისი ერთად ერთი ნანატრი ვაჟი დათაია იყო“. **უნდა იყოს;** მარინეს მარჯვენა ხელი მისი **უფროსი შვილი** დათაია იყო. და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხეილ ივანეს ძე ოდიშარია.

(ჯარისკაცი)

მძიმეთ დაიჭრა გერმანიის საზღვარზე ნოემბერში. გარდაიცვალა ვილნოს რკინის გზის საავათმყოფოში 22 ნოემბერს.



ევგენიოს ლაზარეს-ძე მიქაძე.

(ჯარის-კაცი)

მოკლულია.



იერემია ალექსის ძე ბერუაშვილი

(ჯარის-კაცი)

მოკლულია გერმანიის საზღვარზე, 4 მარტს.

ერთ კვირას თვალწეს დედა-შვილმა ამდენი ხნის სისხლის ოფლით მონაგარი ფული და ერთად წამოიძახეს:

— მადლობა უფალს, გვეყოფა, თუ ღმერთი გვწყალობს: ჩვენი სასალდათოები ოცდა ხუთ თუმნათ იხსნიან თურმე თავსო.

ფული მზათ არის, მაგრამ ახლა კაცია საძებარი, კაცი, რომელიც მარინეს დიდს იმედს დააგვირგვინებს.

კაციც ადვილათ მოიძებნება. რადგანაც ამისთვის გამოსადეგი გაიძვერა გლეხი და აზნაური ყოველ სოფელში ბევრია, მაგრამ გაიძვერა და გაქუცულს როგორ უნდა ენდოს მარინე, რომ მაგისთანების ზიზღი ქალიშვილობაშივე შეხორცებული აქვს და წინდაწინვე გული ეუბნება, რომ გაცვეთილ კაცისაგან ორას ავში შეიძლება მხოლოდ ერთი რამ გამოერიოს კარგი და ვითომ მაინც და მაინც მარინეს საქმე იქნება ეს მესვე და მეორასვე კარგი!

მაგრამ აბა რა ქნას? ვისაც დაეკითხა, ყველას თითი გაიძვერებისაკენ უჩვენებდა

მღვდლისას რომ ოცდა ხუთი თუმნის ფული ქაღალდისაზე დასაცვლელათ მიიტანა და გაუტყდა, რომ ეს დათაიას სახსრათ ნაგროვია ათი წლის განმავლობაშიო და რჩევა ჰკითხა, ამ სულიერმა მოძღვარმაც გაქუცულ ჭახრაკაძეზე მიუთითა:

მარინეს არჩევანიც ამით გათავდა. წირვის დრო იქნებოდა, მარკოზას ჭიშკარში რომ გაქუცული ჭახრაკაძე შემოიჭრა.

ასე ეძახოდნენ ამ პატიოსანი კეთილშობილის აჩრდილს.

მარინეს შეხედვისთანავე წელკავსავით გაჰკრა რაღაცამ და ტანში გააზარზალა, მაგრამ ვერ მიხვდა, რატომ დაემართა ეს: ხან და ხან დიდი სიხარული ისე მოქმედებს ადამიანზე, როგორც დიდი მწუხარების დასაწყისი. მაშინ ამის გამოცნობა ძნელი იყო, მაგრამ მარინეს უბედურება კი თურმე აქედან იწყებოდა.

გაქუცულს ამის მეტად მარინეს ოჯახში ფეხი არ დაუდგამს, და, პირველ შეხვედრისა და სალამისთანავე, ჩვეულებრივი საუბარი გაუმართა მისი ყოფა-ცხოვრების შესახებ

მარინემ და მისმა ქმირმა, როგორც ახალი სტუმარი, ჩვეულებისამებრ, ჭახრაკაძე ვენახისა, ბოსტნისა და ჭურ-მარანის დასათვალიერებლათ წაიყვანეს ჭურის თავები ისე მოწმენდილი და დასუფთავებული იყო, რომ ნემსიც არ დაიკარგებოდა, მარანი ისე მოწყობილი იყო, გეგონებოდათ, აქ ვიღაც მემანქანის ხელი ტრიალობსო: ბერა, ჭახრაკი, კვირისტავი, ხელნა, ჯგუში, კაპიწები ისე მოწყობილი და მილაგებული იყო, თითქო ყოველ დღე ყურძნის წურვა და მაჭრობა ჰქონდა გაჩაღებული მარკოზას.

ეს ყველა ჩემი დათაიას მორთულ-მოკაზმულიაო, ეუბნებოდა მარინე ჭახრაკაძეს. ჭახრაკაძეც მიაყოლებდა: „მაგისთანა ოჯახის შვილი ჩემი მტრის სახლს მოაკლოს ღმერთმა, ჩემი მტრის სახლს“.

— აბა, დათა, ბატონი სტუმრისათვის უხადი მოხადე. შენთვის ამაზე უკეთესი სტუმერი ჩვენ არ გვეწვევა! — წაულაპარაკა მარინემ ჭახრაკაძისათვის გამზადებულ ზვარაკს.

დათაიამ ჭურის თავი მოსწმინდა, ძერბალს წყალი გადაავლო და ისე კოხტათ შემოჭრა ყალო, თითქო ფარგლით შე-

მოხაზულ წრეს მიუოლოდეს; დაუმხატა ძელბარი და ბადიმიდან სარქველი ნიყვივით აიყვანა: ერთი ნამცეცი მიწა ჭურში არ ჩავარდნილა.

ისეთი ოშხივარი ამოუშვა საფერის წმინდა წვენმა, ღალის ფერმა ღვინომ, ისეთი სურნელება მიმოჰფინა გარშემო, რომ ყველა იქ მყოფი, თითქო, საღვთო საკმევლით დაითვრენ.

— შენ გენაცვალოს შენი მარინე, შენ ლამაზსა და ბრგე ფეხებ ქვეშ გამოსულია ეს ქრისტეს ზედაში, შეეწიოს მაცხოვრის ძალი და მადლი შენცა და შენს მომხმარესაც.

— ღმერთი გაგვიმარჯვებსო, წამოიძახა ჭახრაკაძემ.

დათაიამ ორშიმოში რამოდენიმეჯერ სული ჩაუბერა, შიგ წყალი გამოაყანყალა, ორ საპალნიან ჭურში ღრმათ ჩაუყო და სამჯერ სავსე-სავსე ორშიმო ამოიღო და სამჯერვე ჩვეულებრივ შიგვე ჩააბრუნა.

— სამებამ დაგაცალოს, შვილო, რომ ყოველთვის ასე მხიარულათ ყოფილიყოთ სტუმარ-მასპანძლიანათ და უკლისათ, დალოცა მარინემ თავისი შვილი.

— ღმერთმა გისმინოს, ამინ, ამინო—დაუმატა ჭახრაკაძემ.

მღვდელიც მობრძანდა და საპატიო სტუმართან ერთად სადილი მიირთვა.

მარინესა, მარკოზასა და დათიასათვის ეს სადილი საბედისწერო სადილი იყო, თუმცა მარინეს ეჭვი აღარა ჰქონდა, რომ ეს საქმე კარგათ დაბოლოვდებოდა, რადგანაც მღვდელი, ღვთის კაციც კი, ჩარია ამ საქმეში.

სადილის გათავებისას მარინემ ხუთი თითო-თითო თუმნიანი გამოიტანა და მღვდლის თანდასწრებით ჭახრაკაძისათვის უნდა გადაეცა.

— ეს ჩემო მარინე, აი ამ სულიერ მამასთან უნდა გითხრა, გზის გასაგნებათ დამჭირდება, გზისა, რომელმაც საიმედო კაცებთან უნდა მიმიყვანოს და ამას არც ქრთამი ჰქვია, არც ფეშქაში. ქრთამის გაღება თქვენც ღმერთმა გაშოროთ, ჩემო მარინე და მარკოზა, და მეც ნუ ამაღებინოს, თვარა, აი, აგერ თქვენს მოძღვარს ჰკითხეთ, თუ კანონი ქრთამის გამღებსაც ისე არა სჯის, როგორც ქრთამის მიმღებს. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ თქვენ ქრთამის მიცემა დაგიმტკიცდეთ და მე მიღება, თორემ ორივეს ციმბირში გვიკვრენ თავს, არა მამაო? იკითხა ჭახრაკაძემ.

— მამაშვილობამ, რომ ეს ასეა ყოველთვის.

მარინე ჩაფიქრდა, ჯერ მღვდელს გადახედა, მერე მოშორებით მდგომ მარკოზას და დათაიას.

— ისე როგორ გამწირავს ღმერთი, რომ ჩემი ნაცოდვარი ემმაკის ხელში გადვიდეს და ჩემი მზე და მთვარე შვილიც გულზე მომკჯესო, გაიფიქრა მარინემ და თითო თითოთ ხუთი თუმანი სვავ ჭახრაკაძეს ხელში ჩაუთვალა.

გავიდა ორი კვირა და ჭახრაკაძეც დაბრუნდა.

— ვნახე, მარინე, ვნახე, ვინც მინდოდა, მხოლოდ ფულს წინდაწინ თხოულობს და, მეცოდები სწორეთ: ამოდენი ფულის შეძლება შენ სად გექნება, ვითამ წყენით და თანაგრძნობით წარმოსთქვა გაქუცულმა ჭახრაკაძემ.

— ჩემი დათაიასათვის ყველაფერი უნდა შევძლო, მეტი რა გზა მაქვს; მიბრძანე, შენი ჭირიმე, ეგება ღმერთმა მოგვახერხებიოს.

— ორასი მანათი გვჭირდება: ასი ერთს უნდა მივსცე, ასი — მეორეს.

— კი, მაგრამ საიმედო იქნება თუ არა, ჩემო ბატონო, ეს დანამდვილებით უნდა ვიცოდე. ათი წელიწადია, ფარას ფარაზე ვდებ, რიგიანი აღდგომა და შობა არ გამთენებია, სტუმრისა და მოყვრისათვის ხეირიანათ ღვინის დასალევი ვერ მიმირთმევია, ყველაფერს ვიკლებდი და დათიას სახსრათ ვინახავდი. ახლა რომ იმედი წაგვექცეს, წყალში თუ ჩავცვინდებით, თორემ სასიცოცხლო პირი არც მე და არც მარკოზას აღარ გვექნება. ან რა ღვთის მტერი უნდა იყოს ის ადამიანი, რომ ჩემი ნასიმწარევი შესჭამოს და ჩვენ გზა შარაზე დაგვართხას! რაღა გამეწყობა, უნდა თავი დავაწინდრო და შეუძლებელი შევძლო, მაგრამ მღვდელი კი უნდა დაგვესწროს. ამ სიტყვების შემდეგ მარინემ სახლის კარი შეაღო, სკივრს მივარდა, ძველი ცხვირსახოცი გახსნა, თუმნიანები ამოიღო, გადათვალა და დათაია მღვდელთან გაგზავნა, რომ მობრძანებულიყო. მალე მღვდელიც მოვიდა. გახარებული მღვდელს ხელზე სამთხვევათ მივარდა და თითქო უმახარობდა: ეგ თქვენი ნარჩევი ბატონი ძლიერ მაიმედებს, ოც თუმანსა მთხოვს და უნდა მივცე, მეტი რა გზა მაქვს, მაგრამ მიკურთხე შენი ჭირიმე, დამილოცე ეგ ჩემი სიმწრის ოფლით მონაგარი ფული, რომ ამ სხვერპლით შვილის სიცოცხლე გამოვიყიდო.

— რა კურთხევა უნდა მაგას? განა ღმერთი არა ხედავს შენ გაჭივრებას!

— კი, მაგრამ ჯვარი მაინც გადამისახე და ყველა ქაღალდს შენი მადლიანი ხელით ჯვარი დაასვი, მოწყალე მამავ, შენგან ხშირათ გამიგონია, ჯვარი ეშმაკსა სძლევსო.

ამის გამგონე და მაყურებელი ჭახრაკაძე ხან მოიღუშებოდა და ხოლმე ხან-კი ულვაშებ ქვეშ ჩაიცინებდა.

დათაიამ მღვდელს შინიდან საწერელი მოურბენინა და მღვდელმაც თითოეულ თუმნიანს ყურებში თითო თითო ჯვარი დაასვა.

ეშმაკი იქვე იდგა, ამავე ეშმაკს უნდა მიეღო ეს ჯვარდასმული ფული; ზოგი დიდი ეშმაკებისათვისაც უნდა გაენაწილებია, მაგრამ, როგორც ამ პატარას, ისე დიდ ეშმაკებს მღვდლის ჯვარი რომ არას ავნებდათ, დათაიასა და დედამისის მეტმა ყველამ კარგათ იცოდა. ამას სულიერი მამაც კარგათა გრძნობდა, უთუოდ.

ჭახრაკაძე და მღვდელი ერთად გადავიდნენ მარკოზას ჭიშკარიდან

მარინე და მარკოზა ძლიერ დაიმედებული იყვნენ და სჯეროდათ, რომ დათაია სალდათობას გადარჩებოდა და შემოდეგზე ახალი ჯვარდაწერილი დათაია, და ახალი რძალი ღვთისმშობლობას და მოწამეთობას მარკოზას ოჯახიდან ღვთის სამადლობელის შესაწირავს გელათსა და მოწამეთას წაიღებდნენ.

**სამ. ყიფიანი**

(დასასრული იქნება.)